ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

1990
შაბათი
29
დეკემბერი
№156 (10393)
ფასი 3 კაპ.

## საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადება

საქართველოს კომპარტიამ და მოუკიდებლობის მოპოვებით ბოლომდე გააცხადა თავისი ეროვნული პოზიცია და ნება, სრულიად საქართველოს აუწყა, რომ უმთავრეს საპროგრამო მიზნად იგი ისახავს საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას, ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული იდეალების მსახურებას. დამოუკიდებლობის პირველმა მოკრძალებულმა ნაბიჯებმა დაარწმუნა რესპუბლიკის მოსახლეობა, რომ საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტია არის ის პოლიტიკური ძალა, რომელმაც, რესპუბლიკის სხვა პოლიტიკურ ძალებთან ერთად, უნდა აშენოს თავისუფალი, ზნეობრივი, დემოკრატიული საქართველო. ასეთ პირობებში, როცა საშიშ ზღვარს მიაღწია კონსოლიდაციის დეფიციტმა, აშკარად გამოჩნდა ჰორიზონტზე იმის მცდელობა, რომ საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტია ჩამოაშორონ პოლიტიკური მოქმედების არენას. ყოველივე ეს საიინო ხდება ისეთი ქმედებებით, რომლებიც უშუალოდ არის ნასესხები პოლიტიკური ბრძოლის იმ არსენალიდან, საქართველოს დამოუკიდებელმა კომპარტიამ რომ უარყო და დაგმო.

ჩვენი არაერთგზის თხოვნის, მიმართვისა თუ განცხადების მიუხედავად, უკანასკნელი დღეების ქრონიკა გვარწმუნებს, რომ თითქმის წესად იქცა რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში (მაგ. რუსთავში, ახმეტაში, ახალციხეში, ბაღდათში, ვანში და სხვ.), პარტიულ დაწესებულებებსა და პარტიის კუთვნილ შენობებში შეჭრის, თანამშრომელთა შევიწროებისა და დარბევის, მატერიალურ ფასეულობათა გატაცების ფაქტები. ყოველივე ეს ხორციელდება ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის, გარკვეული პირთა ჯგუფების ხელდაამითა და სანქციით, უზნეობითა და ვანდალიზმით.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველოს უზენაესი მიზნის განხორციელებისთვის საერთო ძალისხმევა უნდა ეფუძნებოდეს პარტიებულობის, ე. წ. „მრგვალი მაგიდის" პრინციპებს, სადაც ყველა პოლიტიკური ძალა ერთნაირი უფლებებითა და პრივილეგიებით სარგებლობს. გვახსოვდეს, რომ დევნაშევიწროებითა და რბევით მკვიდრი ნიადაგი მზადდება გამთიშველი, დესტრუქციული, ფარული ძალების პოლიტიკურ ასპარეზზე საბოგინოდ.

ყველას განსაგონად ვაცხადებთ, რომ პარტიული დაწესებულებები, პარტიის კუთვნილი შენობები და მატერიალური ფასეულობანი სრულიად ახლებურ, ეროვნულ შინაარს იძენენ დღეს, ყოველივე რესპუბლიკის მოსახლეობის საკუთრებაა და მის ინტერესებს ემსახურება. ნურავინ იფიქრებს, რომ პარტიის ქონება ვიწრო პარტიულ, ეგოისტურ ინტერესებსა და მავანთა და მავანთა ამბიციების დაკმაყოფილებას მოხმარდება.

საქართველოში დამკვიდრებული მრავალპარტიულობა უპირველესად იმას ნიშნავს, რომ ბოლო უნდა მოეღოს ყოველგვარ დიქტატს, ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს იგი. ჭეშმარიტება ერთია და ვიყოთ მისი მსახურნი.

ჩვენ ვამბობდით და კვლავაც გავიმეორებთ, რომ საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტია არც ერთ კონსტრუქციულ პოლიტიკურ ძალას არ უპირისპირდება, იგი თავს მიიჩნევს ოპოზიციად მხოლოდ მტრული ძალების მიმართ და ნურავის ეჭვობ იმის იმედი, რომ ხელოვნური დაპირისპირებით ჩვენი პოზიცია შეიცვლება.

მოგმართავთ თხოვნით, ვისაც კი რაიმე პრეტენზია გაგაჩნიათ პარტიული დაწესებულებების, პარტიის კუთვნილი შენობებისა და მატერიალური ფასეულობების მიმართ, დავსხდეთ „მრგვალ მაგიდასთან" და თანაზიარულობიანობის ატმოსფეროში გავარკვიოთ ყველა სადავო საკითხი.

საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი.

---

## რეგისტრირებულია პრესის ორგანოები

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივმოქმედი კომისიის წინადადება და ბეჭდვითი სიტყვის შესახებ არსებული კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრაციაში გაატარა გაზეთები „ივერია", „გურჯისტანი" და ჟურნალი „ეკონომისტი" როგორც საქართველოს უზენაესი საბჭოს ორგანოები.

სს „საქართველო"

---

## გასაკეთებელი დროზე უნდა გაკეთდეს

დღევანდელ საქართველოს, მის ხვალინდელ დღეს, განახლებულ პარლამენტს ძლიერი სოფელი, შეძლებული გლეხობა და ბეჯითი შრომა სჭირდება. არც ერთ ეპოქაში, არცერთ ერს შრომისა და გარჯის გარეშე სიუხვე არ შეუქმნია. ვფიქრობთ, ამის შეგონება და ჭკუის დარიგება დღეს არავის სჭირდება.

ჩვენი რაიონის ეკონომიკის მთავარი განმსაზღვრელი დატონის მიმცემი ჩაის კულტურაა. გვექნება ჩაის უხვი მოსავალი, ეს იმას ნიშნავს რომ მაღალი იქნება რაიონის ეკონომიკური მაჩვენებლები. ამიტომაც ჩაის სეზონისათვის მზადების თადარიგს დროზე უნდა შევუდგეთ.

ჩაის უხვი მოსავლის ბედი სწორედ ახლა უნდა გადაწყდეს ახლა უნდა ეყრებოდეს მას საფუძველი. მაგრამ რა საფუძველზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქების შეტანა, გადაბარვა, გაფხვიერება დღესდღეობით ძალზე უმნიშვნელო მოცულობითაა ჩატარებული. ხოლო წყალგამყვანი და საწრეტი არხების ამოწმენდა სულაც არ არის დაწყებული. 2900 ტონის მაგიერ დამზადებულია 1335 ტონა ლპობა ჩაი.

სიცივეები დადგა. ციტრუსოვანთა ნარგავები მთლიანად არაა დაცული მოსალოდნელი ყინვებისაგან.

წელს ტუნგის დაბალი მოსავლიანობაა. მაგრამ რაც არის, ის მაღალი ხარისხისაა. შეგროვება, გარჩევა და ეთერზეთების ქარხანაში ჩაბარება კი ნელი ტემპით მიმდინარეობს.

ანალოგიური მდგომარეობაა სხვა აუცილებელი საზამთრო სამუშაოების ჩატარების საქმეშიც. 25 დეკემბრის მდგომარეობით გაცილებით იმაზე ნაკლებია დამზადებული საკვები, ვიდრე ეს ჩვენი რაიონის საზოგადოებრივ მეცხოველეობას სჭირდება მაგალითად, თივა დამზადებულია მოთხოვნილების 44,4 პროცენტი, სენაჟი 72 პროცენტი, ჩალა-ნამჯა 43 პროცენტი, სილოსი 83 პროცენტი, ძირხვენები 75 პროცენტი ანუ ერთ პირობით სულზე 13,1 საკვები ერთეული. ეს კი საერთო მოთხოვნილების მხოლოდ 68 პროცენტია. ფაქტიურად საჭიროა 19,8 ცენტნერი საკვები ერთეული.

კომბინირებულ საკვებზე გასაცვლელად ჩაბარებულია მხოლოდ 800 ტონა მარცვალი, როცა ჩასაბარებელი იყო 3000 ტონა. ადგილებზე კი გააჩნიათ უმნიშვნელო ოდენობის მარცვლეულის ფურაჟი.

შეუწყნარებელი ნელი ტემპით მიმდინარეობს საყანე ფართობების ნარჩენებისაგან გაწმენდა და ხვნა, მრავალწლიანი და შემოდგომის ერთწლიანი კულტურების თესვა. ჯაგვიანებით თესვისა და მოუვლელობის გამო მცირეა ძირხვენების მოსავალი.

წინასწარი გაანგარიშებით რაიონში ვერ შესრულდება ხორცის, რძისა და კვერცხის დამზადების დავალებები.

ხორცის შესასყიდი ფასების მომატების შემდეგ დამზადების მოცულობა ერთი-სამად გადიდდა. მაგრამ ჩასაბარებლად მოზღვავებულ პირუტყვს გადამამუშავებელი ქარხანა ამჟამად ვერ აუდის.

ჩამორჩენაა რძის დამზადების დავალებათა შესრულების საქმეში. ამის ძირითადი მიზეზია ადგილებზე დარგის სპეციალისტთა და საზოგადოებრივ მეურნეობის ხელმძღვანელთა წაყრუება. დღეს კილოგრამი რძის შესასყიდი ფასი 40 კაპიკია. მისი გაყიდვა კი შეიძლება მანეთად და უფრო მაღალ ფასებში. გარკვეული რაოდენობით ზარალის შემცირების მიზნით კოლმეურნეობათა ერთმა ნაწილმა ყოველგვარი ლიმიტის გარეშე რძის ადგილზე რეალიზაციას მიჰყო ხელი.

როგორც ხედავთ, მდგომარეობა საგანგაშოა. კონკრეტულად საზოგადოებრივ მეურნეობებს განზრახ არ ვასახელებთ, რადგან ზემოთ აღნიშნული საკითხები თითქმის ყველას მეტნაკლებად ეხება. დასკვნების გაკეთება კი თვით საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებისათვის, სპეციალისტებისათვის და მშრომელებისათვის მიგვინდვია.

ერთი რამ კი ცხადია. ასე მუშაობის გაგრძელება ნამდვილად არ შეიძლება. ყველა ვინც კი სოფლის მეურნეობაში დასაქმებული, უნდა ფიქრობდეს ხვალინდელ დღეზე.

ჩვენი რჩევაა, სანამ მუნიციპალური არჩევნები ჩატარდება, სანამ მიწისა და საკუთრების ახალი კანონი მიიღება, სანამ სოფლის მეურნეობაში ახალი სტრუქტურები ჩამოყალიბდება, ვიმუშაოთ რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიმართვის შესაბამისად. კერძოდ, მრავალწლიან და ერთწლიან კულტურებში აგროვადებში უნდა ჩატარდეს აგროტექნიკით გათვალისწინებული სამუშაოები. მეცხოველეობაში კი სასწრაფოდ უნდა გაუმჯობესდეს პირუტყვის კვება-შენახვის პირობები, პროდუქტიულობის გადიდების მიზნით გამოზამთრების პერიოდში მაინც უნდა მოხდეს საკვების კვების წინა შემზადება. დროებით შეწყდეს ულიმიტოდ რძის ადგილზე რეალიზაცია. არ იქნეს დაშვებული სულადობის, განსაკუთრებით პროდუქტიული პირუტყვის დაუსაბუთებელი შემცირება მეტი ყურადღება მიექცეს ადგილობრივი საკვებით უზრუნველყოფის საქმეს. საჭიროების შემთხვევაში მიღწეულ იქნას რესპუბლიკის ფარგლებს გარედან საკვების შემოტანა გაცვლითი ოპერაციების ჩატარების გზით. იქ, სადაც შესაძლებელია დამატებით დაითესოს მრავალწლიანი ბალახები და შემოდგომის კულტურები.

ეს ყველაფერი გაკეთდება მხოლოდ მონდომებული შრომით. იმედია, სოფლის მეურნეობის მშრომელები შრომას გაიხდიან უპირველეს მოვალეობად.

ხვავიან და ბარაქიან ახალ წელს ვისურვებთ, შეგიზრებთ

რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანება. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა სოფლის მეურნეობის კომისია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სასკოლო ცხოვრება

მე-8 და მე-14 საშუალო სკოლების პედაგოგიური და მოსწავლეთა კოლექტივები ხუთდღიანი სასწავლო კვირის რეჟიმზე გადავიდნენ. ხუთდღიანი სწავლების შემოღებას რა დადებითი ან კიდევ უარყოფითი შედეგები მოსდევს შეუძლია სკოლაზე? როგორ განაწილდა გაკვეთილების განრიგი? როგორია მოსწავლეთა, მშობელთა დამოკიდებულება ექსპერიმენტისადმი? აი, ის საკითხები, რომელთა გარშემო გავესაუბრეთ მასწავლებლებს, მშობლებს.

# ექსპერიმენტი საჯარო განხილვის პროცესშია

**ჭ. ბზიშია,— მე-8 საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე პროფორიენტაციის დარგში:** ხუთდღიან სწავლებაზე გადასვლა დიდ მოთხოვნებს [illegible] ყველასათვის ნათელია, რომ პედაგოგის სამუშაო დრო განსხვავდება სხვა პროფესიის მუშაკთა სამუშაო დღისაგან. მასწავლებელი ყოველ გაკვეთილს მომზადებული უნდა შეხვდეს. პედაგოგის შრომა ბევრად აღემატება იმ აკადემიურ დროს, რითაც შრომა ნაზღაურდება. დღემდე მას არ რჩებოდა დრო კულტურული, სულიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

ხუთდღიანი სასწავლო კვირის ხიბლი ის, რომ განტვირთავს მასწავლებლის საათობრივი რაოდენობა.

თუ წინათ 18 აკადემიური საათი იყო განაკვეთი, ამჟამად 15 საათს შეადგენს. შრომის ანაზღაურება კი უცვლელია.

**ბ. ბახალაძე, — ბიოლოგიის მასწავლებელი:** ბალტიის ზოგიერთ ქვეყანაში ხუთდღიანი სწავლების მეთოდმა დადებითი შედეგი გამოიღო, ახლა თბილისის სკოლები უკვე მესამე წელია გადასულია სწავლების ამ სისტემაზე.

ხუთდღიან სწავლებაზე გადასვლა განაპირობა აგრეთვე იმანაც, რომ შაბათს მოსწავლეთა დასწრების მაჩვენებელი ძალზე დაბალი იყო; რაც თავისთავად მოსწავლეთა აკადემიურ დონეზე მოქმედებდა.

**ნ. ფარცვანია,—ფიზკულტურის მასწავლებელი:** ფიზკულტურა და სპორტი ყოველი მოზარდის და ჭაბუკის ყოველდღიურ ცხოვრებაში ღრმად უნდა შევიდეს. სპორტში მოვარჯიშე ჯანმრთელი მოზარდების სულიერი განწყობილება ყოველთვის ჯანსაღია. ისინი, როგორც წესი, კარგადაც სწავლობენ. სკოლის სპორტული ინვენტარი არ არის დამაკმაყოფილებელი. ორდღიანი დასვენება კარგია იმით, რომ მოზარდებს შეუძლიათ მშობლებთან ერთად თავისუფალი დრო ბუნების წიაღში გაატარონ, ტურისტული ლაშქრობა მოაწყონ, სპორტული გააკეთონ.

**დ. დარასელია,—ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი:** სასწავლო გეგმის დარღვევას ეს არ გამოიწვევს, რადგანაც თუ ადრე 4-5 გაკვეთილი ტარდებოდა, ახლა 6-7 გაკვეთილია ყოველდღიურად. მასწავლებლებს შეუძლიათ უკეთ მოემზადონ გაკვეთილისთვის, თუ გაკვეთილი გადაიხადა და საკონტროლო წერა ან ლექციური ხასიათის გაკვეთილი ჩაატარონ.

**ა. ჭკადუა,—ინჟინერ-ტექნოლოგი (მშობელი):** ჩემი შვილი ექსპერიმენტულ-ეროვნული სკოლის მეცხრეკლასელია. ის აქ ტექნიკურ საგნებს სწავლობს. ჩვენ, მშობლები კმაყოფილი ვართ პედაგოგებით. დასვენების დღეები სკოლაში კვირა და ორშაბათია (ეს გამოწვეულია სპეციალისტების უქმარისობის გამო). მომავალში სკოლა საკუთარი კადრებით დაკომპლექტდება და დასვენების პრობლემაც მოიხსნება.

**ხ. ჯიჯია, ნ. ფაცაცია (მშობლები):** ბავშვები სკოლაში ყოველდღიურად მომზადებული რომ გავგზავნოთ, გადავწყვიტეთ სამსახურში ნახევარ შტატზე გვემუშავა. დღის მეორე ნახევარში ოჯახში ვართ და კონტროლს ვუწევთ ბავშვებს. შედეგი კარგია. დასვენების დღეებში ბავშვები გაგვყავს ქალაქგარეთ. ორშაბათს დასვენებული და მომზადებული ბავშვები ხალისით მიდიან სკოლაში.

**ჭ. ჯიქია,—ინჟინერ-ეკონომისტი:** ხუთდღიან სწავლებაზე როცა ვლაპარაკობთ, პირველ რიგში ყურადღება უნდა მივაქციოთ გადატვირთულ სასწავლო მასალას და არც თუ ისე საჭირო საგნებს. უნდა დაიხვეწოს სკოლის პროგრამა, უნდა შემოვიღოთ დიფერენცირებული სწავლება, რომელიც მოგვიხსნის რეპეტიტორის პრობლემას.

ჩემი შვილი ექსპერიმენტული სკოლის მოსწავლეა და წარმატებით ეუფლება ტექნიკურ საგნებს.

**ც. ჭურჭუმია, — მედიცინის და (მშობელი):** მე წინააღმდეგი ვარ იმ აზრისა, თითქოსდა ბავშვები ორი დღის განმავლობაში გამოითიშებიან სწავლის პროცესს, ორშაბათი შეგუების დღე იქნება. მოკლედ, ვთქვა ცოტა სწავლა უნდა, ამისათვის კარგია, ხელსაყრელია.

ესაუბრა ქლ. ფაჩუაშვილი

---

## ხელოვნების მუშაკებს თანადგომა და მხარდაჭერა!

# კვლავ თქვენთან ვართ

შალვა დადიანის სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივს რომ უჭირს ეს ფაქტია. მშრომელთა კულტურული აღზრდის ამ კერას სამწუხაროდ ზურგი შეაქცია მაყურებელთა გარკვეულმა ნაწილმა, უპირატესად ინტელიგენციამ. ამ არასასურველ მოვლენას ბევრი ობიექტური წინამძღვრები გააჩნია. ამის მიუხედავად ბრალი ჩვენც მიგვიძღვის. დადგა დრო, საუკუნოვანი მაღალთეატრალური ტრადიციებისა და გემოვნების მქონე ზუგდიდელებმა, მთელმა საზოგადოებამ, ყველა პროფესიის ადამიანებმა სწორად გავაანალიზოთ და საჭირო დასკვნები გავაკეთოთ. ერთობლივი ძალისხმევით დავიბრუნოთ მდიდარი თეატრალური ტრადიციები.

ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ისტორიის ქარტეხილებმა ჩვენი თეატრი ბევრჯერ დააყენა დასურვის საფრთხის წინაშე. ხალხის სულიერი და ესთეტიკური აღზრდის კერას ლამის ცეცხლი შეუნთეს მგელაძისა და რუხაძის ალვირახსნილი ბარბაროსი ბრიგადები. არც შემდგომში დადგომია მას კარგი დღე. თეატრის ხელმძღვანელებს, რეჟისორებს მთელ დასს ხელს უშლიდნენ, ახშობდნენ მათ შემოქმედებით საქმიანობას. არაერთხელ მოუხსნეს თეატრს დოტაცია. ეგრეთწოდებული ოლქის დროს ისიც გადაწყვიტეს, რომ მისთვის წაერთმიათ სახელმწიფო თეატრის სტატუსი. მაგრამ გაუძლო განსაცდელს.

ამ სტრიქონების ავტორს დღესაც ახსოვს ნახევრად ჩაბნელებულ და გაყინულ სცენაზე, შემოქმედებით ცეცხლს ანთებდნენ ხელოვნებაზე უსაზღვროდ შეყვარებული მსახიობები, საკუთარი ჯანმრთელობის დაკარგვის ფასად. პალტოებში გახვეული მაყურებელი [illegible] აცილებდა მათ უფრო გაყინულ ბინამდე. აქ ჩანდა თეატრისა და მაყურებლის ურთიერთპატივისცემა და სიყვარული. დავიწყებას არ უნდა მიეცეს ეს კარგი ტრადიცია.

ზუგდიდის თეატრს, მის შემოქმედებით კოლექტივს, ხალხის წიაღში შექმნილ კულტურულ ტრადიციების ერთიანობას დიდი ზიანი მიაყენა რესპუბლიკის პარტიულ ფუნქციონერთა თვითნებობამ და ვოლუნტარიზმმა. აქ პირველ რიგში თავი გამოიჩინა კრემლის ემისარმა, ეგრეთწოდებულმა „მეფისნაცვალმა" პეტრე როდიონოვმა. ამ უკანასკნელმა თავისი „უბედნიერით" ზუგდიდი ორად გახლიჩა. ხალხის დაუკითხავად და ხალხის საზიანოდ ერთმანეთს დააშორა ქალაქისა და რაიონის ინტელიგენცია. ერთმანეთს დააშორიშორა რაიონისა და ქალაქის განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დარგები, საფუძველი შეურყია მდიდარ ტრადიციებს. ამ გათიშვამ მოიტანა ერთგვარი ბარიერების შექმნა. რაიონის ბიუჯეტის ქარბი თანხები „ზევით" მიჰქონდათ. ქალაქს კი არ ყოფნიდა საკუთარი სახსრები. ამით იზარალა საქალაქო მეურნეობამ, ყველაზე მეტი ზარალი განიცადა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებმა. ყველაზე ცუდი დღე დაადგა თეატრს.

ათეული წლების მანძილზე უკანა პლანზე იყო კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები. მეტი ყურადღება ექცეოდა მოჩვენებით კეთილდღეობას უქრაობისა და განსაკუთრებით „პერესტროიკის" პირველ და მეორე ეტაპზე, ხალხის საკეთილდღეოდ არაფერი გაკეთებულა. პირიქით „პერესტროიკა" უფსკრულისაკენ მიაქანებს ეკონომიკას.

შემოსასვლელები, მოედნები, ბაღები, სკვერები, შენობათა ფასადები მოვქარგეთ უხამსი მოწოდებებით, პოლიტბიუროს წევრთა პორტრეტებით, მდიდარ ჩარჩოში გამოვაჩინეთ, რისთვისაც დიდძალი თანხა დაიხარჯა. თეატრი, მუზეუმი, ბიბლიოთეკები ყოველგვარ ყურადღების მიღმა მოექცა.

ობიექტური მიზეზების მიუხედავად თეატრს რომ უჭირს, ეს არ ამართლებს ზუგდიდელებს. არ ვეხმარებით თეატრს. ძველი და საშუალო თაობის ინტელიგენციას, თეატრის მაყურებლებს მოვაგონებთ ერთ საინტერესო დეტალს. სამხატვრო საბჭოს წევრები კონსტანტინე ნაროუშვილი, ლადო ბოჭგუა, გიორგი ფიფია, სვეტლანა გბრალიძე, მერაბ ნარმანია, ელიოშა ხულორდავა, ნანა ქორთუა, შალვა შენგელია მტკიცე ზურგად ედგნენ თეატრს. რაოდენ სამწუხაროა, რომ დღეს არც ერთი მათგანი არ არის ცოცხალი.

ზუგდიდის ორად დაყოფამდე სამხატვრო საბჭო ბევრჯერ სასარგებლო საქმეს აკეთებდა. მინდა მივმართო იმ პერიოდის სამხატვრო საბჭოს წევრებს: ციალა ქირიას, ნათელა ფიფიას, დოდო შამათავას, შოთა სარიას, ზურაბ ცხონდიას, ოლიკ ქანთარიას და სხვებს (ვინმე თუ გამომრჩა ბოდიშს ვიხდი მათ წინაშე) ისევ შევიკრათ თეატრის გარშემო. აქტიურად ჩავებათ თეატრალურ ცხოვრებაში, შევქმნათ ხელოვნებით დაინტერესებულთა რიგებიდან გულშემატკივართა კლუბი, მთელი ძალა და ენერგია დავხარჯოთ თეატრის სასარგებლოდ.

განახლებულ საქართველოს განახლებული თეატრი სჭირდება. ჩვენი ვალია გარკვეული წვლილი შევიტანოთ ამ ეროვნულ საქმეში. ზუგდიდის რაიონს აქვს დიდი შესაძლებლობა მშობლიურ თეატრს რომ გაუწიოს ფინანსური დახმარება. ბევრ მოწინავე საწარმოს შეუძლია ზეგეგმიური მოგებიდან გამოყოს გარკვეული თანხა თეატრის სასარგებლოდ. ძალზედ სასურველია მოვავლინოთ რაიონის ნიჭიერი ახალგაზრდები თეატრალურ ინსტიტუტში. წარჩინებულებს დავუნიშნოთ სტიპენდია. მოვამზადოთ რაიონის მკვიდრი და პატრიოტი რეჟისორები და არა გასტროლიორები, რომლებიც რესპუბლიკის თეატრალური ელიტის დახმარებით (რაც თავისთავად მისასალმებელია) დადგამენ ერთ სპექტაკლს და თავს ოლიმპიურ გმირებად თვლიან. უჩნდებათ გადიდების მანია, ამბიციები, სამაგიეროდ ეკარგებათ პატრიოტული გრძნობები და პროფესიის სიყვარული. თეატრის დასის მონაწილეობით მოვაწყოთ ეროვნული შინაარსის, ფართო მასშტაბების თეატრალიზებული სანახაობები, ფორმებისა და მეთოდების შემუშავება მივანდოთ პროფესიონალ თეატრალებს.

და ბოლოს მინდა მივმართო ზუგდიდის თეატრის კოლექტივს: ნუ მიეცემით გულგატეხილობას, პესიმიზმს. რა დროს თეატრის დახურვაა. განახლებულ საქართველოს განახლებული კულტურა! —ეს უნდა იყოს ხელოვნების მუშაკთა სამოქმედო პროგრამა. მოველით თქვენი კოლექტივისაგან მოწვევას და შეხვედრას, კვლავ თქვენთან ვართ, ძვირფასო მეგობრებო!

**ამირან უერობია,**
შალვა დადიანის სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო საბჭოს წევრი 1952 წლიდან.

---

## კონფერენციამ შეაჯამა

ჩატარდა ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ზუგდიდის სარაიონთაშორისო საბჭოს მე-16 კონფერენცია.

საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ნ ს ს ზუგდიდის სარაიონთაშორისო საბჭოს თავმჯდომარემ ა. რაფავამ.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობდნენ ინგირის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატის სახანძრო პროფილაქტიკის ინსპექტორი ი. სვირავა, შინაგან საქმეთა რაიონული და საქალაქო განყოფილების სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის უფროსი ინსპექტორი დ. ჭლორკაძე, ნ ს ს ზუგდიდის სარაიონთაშორისო საბჭოს შტატგარეშე ლექტორთა ჯგუფის უფროსი ტ. კანკია, ცაიშის ჩაის ფაბრიკის სახანძრო პროფილაქტიკის ინსპექტორი ჩ. კვარაცხელია, ყულიშკარის კოლმეურნეობის სახანძრო პროფილაქტიკის ინსპექტორი მ. ქვარაია და სხვები.

კონფერენციის მონაწილეებმა საანგარიშო პერიოდში ნ ს ს ზუგდიდის სარაიონთაშორისო საბჭოს მუშაობა შეაფასეს დამაკმაყოფილებლად, აირჩიეს საბჭოს ახალი შემადგენლობა და საქართველოს რესპუბლიკის ნ ს ს მე-6 ყრილობის დელეგატები.

კონფერენციამ ნ ს ს ზუგდიდის სარაიონთაშორისო საბჭოს თავმჯდომარედ კვლავ აირჩია ა. რაფავა.

# შეხვედრა მკითხველებთან

სარედაქციო მუშაობის უკეთ წარმართვის, მოსახლეობის მისწრაფებათა სათანადოდ ასახვისა და მათი ინტერესების უკეთ გათვალისწინების მიზნით მკითხველებს ვიწვევდით სარედაქციო კოლექტივთან შეხვედრაზე.

25 დეკემბერს ამ შეხვედრაზე გამოცხადნენ დაინტერესებული მკითხველები, მათ შორის პედაგოგები, ჟურნალისტები, იურისტი, სხვა პროფესიის ადამიანები.

გაიმართა გულახდილი დიალოგი. საუბარი შეეხო პრესის თავისუფლებას, ავტორთა უფლებებს, ჟურნალისტთა კავშირის მუშაობას, გაზეთის ტექნიკური სრულყოფის პრობლემებს, თავისუფალი თემების უკეთ გაშუქებისა და სხვა საკითხებს.

აი, ამონარიდები ამ საუბრებიდან:

ირმა ჯიქია—ილორის საშუალო სკოლის მასწავლებელი: როცა გაზეთი უფერულია, სტიმულს უკარგავს მკითხველს, კარგია თუ გაზეთი „ოდიში" უფრო მეტ ადგილს დაუთმობს პოეზიას, ხელოვნების სხვა დარგებს.

მ. ჭანტურია—ჟურნალისტი: კარგი იქნება, რომ შტატგარეშე ავტორები წავახალისოთ ჰონორარით, თუკი ამის შესაძლებლობა იქნება გაზეთს, იქნებ გამონახოს სახსრები ამისთვის, არადა, შეუსაბამობაა ერთ სოლიდურ სტატიაში 5 მანეთს იღებს ავტორი, ხოლო მცირე განცხადების მოთავსება 50 მანეთი ღირდეს.

ზ. ცხონდია—„ოდიშის" რედაქტორის მოადგილე: ალბათ მეტ რამეში გვეხმარება პრესის შესახებ კანონი, რომელიც უნდა გამოვიდეს. პრესის თავისუფლება ნიშნავს ჟურნალისტთა უფლებების გაფართოებას, მაგრამ ეს არ გვიხსნის პასუხისმგებლობას. ჩვენ შევუწყობდეთ მხოლოდ ჩვენში ჟურნალისტური მოვალეობა და ჩვენი ჟურნალისტური კანონები, როგორც ზოგად ჰუმანიტარული კანონები არსებობს, ასევე არსებობს ზოგადჟურნალისტური კანონებიც. თუმცა არც ისე იოლია ძველი ინერციის გადალახვა, ეს პროცესი თანდათანობით წინ წაიწევს.

ბ. ჩილაია—პედაგოგი: რამდენი საინტერესო ჟურნალები გამოდის, რომლებიც ყველასთვის არ არის ხელმისაწვდომი, მაგალითად ქალების ჟურნალი „ბურდა" გვთავაზობს არა მარტო ტანსაცმლის მოდას, არამედ საინტერესო საშინაო, სპორტულ ვარჯიშებს და სხვა. სასარგებლო იქნება იქიდან გადმოვბეჭდოთ საინტერესო მასალები. მეტი უნდა იყოს თავისუფალი თემები, თუნდაც ისეთები, რომლებზეც ადრე წერა იკრძალებოდა.

ბ. ჭანტურია— „ოდიშის" რედაქტორი: საინტერესო მასალების გადმობეჭდვა აუცილებელია, ჩვენ ამ პრაქტიკას დავნერგავთ.

ნ. ფაჩუაშვილი— ჟურნალისტი: ჟურნალისტთა კავშირმა ქმედითი უნდა გახადოს თავისი მუშაობა. არადა, რა გამოდის, კავშირის წევრობა მხოლოდ საწევროს გადახდით ამოიწურება. უნდა იმართებოდეს კონკურსები, გვეძლეოდეს შემოქმედებითი მივლინებები, გვქონდეს რაიმე პრივილეგიები. სხვაგვარად ამ კავშირის არსებობას არავითარი აზრი არა აქვს.

ა. ხასილაია—იურისტი: სასურველია წერილებში გამოიკვეთოს ადამიანთა განწყობილება, გავესაუბროთ მათ ტრანსპორტში, თეატრში თუ თავშეყრის სხვა ადგილებში.

საუბრებში გამოიკვეთა, რომ გაზეთი ქმნის საზოგადოებრივ აზრს, იგი აფიქსირებს მოვლენებს, აქვეყნებს ზუსტ ინფორმაციას. ითქვა აგრეთვე ავტორის წერილზე მინაწერის შეუსაბამობაზე, რაც ავტორის უფლებების შელახვაა.

საუბარი შეეხო ახალი გაზეთის თავისუფლებისა თუ რომელიმე ორგანოსთვის მიკუთვნების პრობლემას. შეხვედრაზე ერთხელ კიდევ წარმოჩინდა ჟურნალისტსა და მკითხველს შორის ურთიერთთანამშრომლობის სადღეისო საკითხები, რაც უსათუოდ გამოგვადგება მომავალ მუშაობაში.

ნ. ტაბაღუა.

იაკობ გოგებაშვილი — 150

# სიყვარულით გამთბარი

№17 საბავშვო ბიბლიოთეკის (გამგე ვ. ნაჭყებია) ინიციატივით ფაიფურის ქარხნის საერთო საცხოვრებლის კლუბში ჩატარდა დიდი მამულიშვილის, გამოჩენილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

ბიბლიოთეკასთან არსებული მხატვრული წრის წევრებმა ხ. ექონიამ, ხ. ჯანაშიამ, ა. ადვაძიემ, მაია და ეკა პაპიაშვილებმა საინტერესოდ წარმოადგინეს ი. გოგებაშვილის „ბუნების კარიდან" ცალკეული ეპიზოდები. განსაკუთრებით შთამბეჭდავად იყო წარმოჩენილი „წელიწადის ოთხი დრო". საღამოს ელფერს მატებდა ლამაზად გაფორმებული სცენა, სადაც ყველაფერი დიდი ენისადმი უსაზღვრო სიყვარულით იყო გამსჭვალული. ამასთან, საღამო მოხერხებულად და ორიგინალურად იყო ჩართული ხატოვანი საუბარი საქართველოს დღევანდელ ვითარებაზე, მის მომავალზე. ლექსებს სიმღერები ენაცვლებოდა, სიმღერას კვლავ ლექსი და ქართული ჰანგები...

სცენარი საღამოსთვის მოამზადა ნ. ღუბელაძემ, მუსიკალურად გააფორმა ლ. ქირიამ. მისი მონაწილეები დიდხანს ემახსოვრებათ ის მშვენიერი, მიზნობრივი ღონისძიება.

ლ. ჭარჩავა,
ქალაქის კულტურის განყოფილების ინსპექტორი.

გახსენება

# დაგვიტოვა დიდი გულისტკივილი

იყო დრო, როდესაც ქალაქ ზუგდიდში ერთადერთი საბავშვო ბაღი იყო. მისი ადგილსამყოფელი ცენტრალურ მაგისტრალზე პირველი ჩაის ფაბრიკის წინ მდებარე დაქირავებული ბინა გახლდათ. აქ აღიზარდა ზუგდიდის ინტელიგენციის დიდი ნაწილი. აქ მოღვაწეობდნენ მასწავლებლები ფენია მესხი, ლუბა აბულაძე, ბოლო წლებში კი ქალბატონი ოლგა ქეცბაია-ემუხვარისა. შემდეგ ბაღის ტიპიური შენობა ჩადგა მწყობრში. სწორედ ამ პერიოდში მოვიდა ახალგაზრდა მასწავლებელი შურა ხუბულავა.

დღეს სწორედ მასზე მინდა მოვიგონო, რამეთუ მან ამასწინათ დატოვა წუთისოფელი და დაგვიტოვა დიდი გულისტკივილი.

იგი დიდი გულისხმიერებითა და სიყვარულით ეკიდებოდა პატარებს. შურას კაბის კალთას გამოკიდებული ბავშვები დღეს ჩვენი რესპუბლიკის წამყვან უბნებზე შრომობენ. მოღვაწეობის ოცდაათი წლის მანძილზე, ოცდაათი საზეიმო გამოფენის მონაწილე იყო შურა მასწავლებელი. შემდეგ ავადმყოფობდა, გულს უჩიოდა და სწორედ მისმა კეთილმა გულმა შეწყვიტა ძგერა. წავიდა მშვიდი, თბილი, მოყვარული ქალბატონი, მაგრამ დარჩა სითბო და სიყვარული.

ქალბატონ შურას მაგალითზე მინდა ვთქვა, რომ მასწავლებელს ურიცხვი ქონება აქვს, თუ ის მართლა მასწავლებელია. მისი აღზრდილები, მისი მარგალიტებია, ეს მე ერთხელ კიდევ ვიგრძენი, როცა ჩემი კოლეგა მივაბარეთ სამუდამო სავანეს.

ლუბა სოსელია,
პენსიონერ-მასწავლებელი.

# ფუძედალოცვილი

გადმოცემით ვიცი, რომ თურმე როცა წყდებოდა ახალსოფლის ცენტრის ამორჩევის საკითხი, სიტყვა უთხოვია ბუნებით მიერ მრავალმხრივ დაჯილდოებულ, ენამოსწრებულ გლეხს—კვალკვე ჭურღულიას და უთქვამს: ხალხნო! ელექტრონათურა ოთახის შუაგულში უნდა ეკიდოს თუ განაპირას?... და... დაუჯერებ თურმე, დაგეგმარდა ცენტრი.

ნიკუშის მთესველი გლეხის ვაჟიშვილი—ჯუმბერი საშუალო განათლების მიღების შემდეგ შინვე დარჩა. მუშაობდა ბრიგადირად, ამჟამად კი მეცხოველეობაშია დასაქმებული, იგი პასუხისმგებლობით ეკიდება საქმეს. ფუძედალოცვილ ოჯახში გრძელდება სიცოცხლე.

ი. მადაქარია.

30 წელი იურიდიულ სამსახურში

# ყველა კაცმა სიკეთე რომ ქნას...

მკერდზე საქადაგო ჩასუტებულ, სადა, სანდომიან იურისკონსულტს, წლების მანძილზე ხედავენ სასამართლო პროკურატურებში, უმაღლეს სასამართლოს ორგანოებში, სახელმწიფო და საუწყებო არბიტრაჟებში, ეს ჩვენი თანაქალაქელი იურისტი ალექსანდრე ბასილაია, რომელსაც ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს გზა იოლად არ გაუვლია. უნივერსიტეტდამთავრებული ობოლისათვის ხელშემშლელი არავის უცდია. —, რის ყვება იგი:—ჩემს სულს დღესაც ატყვია ნაჭრილობევი. 1952 წელს დავამთავრე უნივერსიტეტი, მივიღე სპეციალობა. ვეძებდი სამუშაოს, მაგრამ ყველგან ადამიანთა ცივი მზერა ხვდებოდა. კადრების შერჩევაში გამეფებული პრივილეგიების გამო ვაკანტური ადგილის უქონლობის მოშველიებით მისტუმრებდნენ ხელმძღვანელები. არც ჩემი ზუგდიდი შემეგებებოდა ხელგაშლილი. რიგგარეშე იხსნებოდა მესამე უბნის სახალხო სასამართლო, სადაც მოსამართლედ სხვა პირი ჰყავდათ გათვალისწინებული, ეს კი დიდი ბრძოლით მივაღწიე იქ წამოყენებას, მაგრამ შვიდი თვის შემდეგ ამ უბნის გაუქმებით გამისტუმრეს შინ. მას შემდეგ შვიდი მძიმე წელი დავყავი უმუშევრად მატერიალურად ხელმოკლემ. 1960 წელს კი საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიონული კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. ქვარცხავამ ეპითეტით—წუნიერ, პატიოსან კომუნისტს ალექსანდრე ბასილაიას გაგზავნით იურისკონსულტად ზუგდიდის რაიკოოპკავშირში,— გამისტუმრა დაუკითხავად, მაკმაყოფილებდა თუ არა ეს სამსახური...

წლებმა ჩაიარა. შევეჩვიე და შემიჩვია კოლექტივმა. იმ დღიდან დღემდე იურიდიული ჩარევით რაიკოოპერატივის სასარგებლოდ ამოგებული მაქვს ასი ათასობით მანეთი...

ძნელია, არ დაეთანხმო მის ნათქვამს, ამას ხომ ფაქტებიც ადასტურებენ, როგორც იტყვიან, ციფრი ერთია და საქმე ათასი. კანონის ზედმიწევნით ცოდნით ობიექტურობით გამორჩეულ იურისტს თუ შეეკითხები როდის ხარ ბედნიერი? დაუფიქრებლად გიპასუხებთ: —ბედნიერი ვარ მაშინ, როცა ვგრძნობ ძალას საკუთარი რწმენის დასაცავად, როცა ადამიანს იმედს გავუმართლებ. იგი ხშირად იმეორებს დიდი ილიას სიტყვებს:—ყველა კაცმა, რომ იგი სიკეთე ჰქმნას, რის შემძლებიც არის, ქვეყანაზე უბედური არ იქნებოდა...

ალექსანდრე ამასწინათ გავიდა პარტიის რიგებიდან. იმედით შეჰყურებს ახალ პარლამენტს და შეუპოვრად იცავს ჭეშმარიტებასა და სიმართლეს, ამის მოწმობს საზოგადოებრივი ქონების ხელყოფის წინააღმდეგ ბრძოლის, სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევის ძალების, წარმოებისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების, დებიტორული დავალიანების ლიკვიდირების საქმეში ბრწყინვალე მისი გამარჯვება. მართლაც, რომ იურისკონსულტის უნარითა და ნიჭით ათეულათასობით მანეთი დაუბრუნდა ზუგდიდის რაიკოოპკავშირს. მრავალ ეპიზოდთაგან მოვიყვანთ ორიოდეს:

1968 წელს იურისკონსულტის ჩარევის შედეგად ლიკვიდირებულ იქნა დაფნის გაყიდვის საქმეში უსწორო, არაკონტრაქტული ოპერაციებით წარმოშობილი 300 ათასი მანეთის დებიტორული დავალიანება რაიკოოპკავშირის სასარგებლოდ. იურისკონსულტმა მთელი ძალა [illegible] და ცეკავშირის გამგეობის გაფორმებულ ხელშეკრულებაზე დაყრდნობით მოიხსენია ეს ფაქტი. უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგია ყოველთვის აკმაყოფილებს კოოპერაციის საქმეებზე ა. ბასილაიას მიერ დაწერილ საკასაციო საჩივრებს, თუნდაც ზუგდიდის სახალხო სასამართლოს მიმდინარე წლის 10 მაისის განაჩენის გაუქმება სამოქალაქო სარჩელის ნაწილში 74.302 მანეთის თანხაზე დაკისრებული მოვალეობის დაუდევრობის შედეგად მიყენებული ზარალი.

ალექსანდრეს მისმა სამსახურმა ბევრი მეგობარი და კოლეგა შესძინა, როგორც რესპუბლიკაში, ისევე, მის ფარგლებს გარეთაც. ამას მოწმობს მათი მიწერ-მოწერა. ნაჩუქარი წიგნები და სახელმძღვანელო ბროშურები ავტორთა წარწერით. მათ შორის უკრაინის სამომხმარებლო კოოპერაციის მთავარი არბიტრის რაისა დუბინსკაიასი, „ცენტროსოიუზის" იურიდიული განყოფილების გამგის ა. მალკოვისა, ა. აბუნდისა და სხვების.

მას უყვარს წიგნები, რამეთუ მასში ეძიებს სულის საზრდოს. კოლეგები, მშრომელები აკითხავენ მას რჩევისათვის, კონსულტაციისათვის. მისაბაძია ადამიანებთან ურთიერთობაში. უშუალო და გულუბრყვილო, ალალმართალი. იურიდიულ სამსახურში ნაყოფიერი მუშაობისათვის მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები.

ალექსანდრეს ჯანიც, შემართებაც მოსდევს, რასაც საქმიანობაში ხარჯავს. ვუსურვოთ [illegible] შემოქმედებით [illegible] აში, იმ დიდ [illegible] მელსაც [illegible] რი ჰქვია და [illegible] წელი შეუძლია.

ბ. აბულაძე.

საკითხს სვამს მოსახლეობა

## ვინ უნდა უშველოს?

რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია უკვე მერამდენე წელია ნაგავსაყრელადაა ქცეული და ეკოლოგიურად საშიშ კერას წარმოადგენს. ეს „ქეთილთვისებიან სიმსივნედ" ქცეული ადგილი, იმთავითვე საჭიროებს სასწრაფო შველას და განკურნებას ითხოვს.

საინტერესოა, ვინ გააკეთებს სასწრაფო ოპერაციას და ვინ ამოჭრის აღნიშნულ სიმსივნეს ამ ტერიტორიიდან? სწორედ ამაზე ითხოვენ კონკრეტულ და დროულ პასუხს მიმდებარე ქუჩების ცხოვრებლები.

აწი, მაინც დროა, შევეშვათ დაპირებებს, თათბირებზე და გაზეთებში წარმოთქმულ და გამოქვეყნებულ არაფრის მომტან ლამაზ სიტყვებს. დღეს ქალაქის მოსახლეობა იმ იმედით ცხოვრობს, რა იმედითაც დღევანდელი სადი თესლი, ხვალინდელი ნაყოფსმოიარე იქნება. ამიტომაც დროა ყველანი პრაქტიკულ მუშაობაზე გადავიდეთ.

აქვე მინდა ავღნიშნო, რომ მოსახლეობის მოთხოვნაა გაწმენდილ და განკურნებულ ტერიტორიაზე მთლიანად ჩატარდეს გამწვანების სამუშაოები. ეს ადგილი დიახაც იმსახურებს იმას, რომ თავისი სიმშვენიერით იქცევდეს ყურადღებას.

იმედია, აწი მაინც ეშველება ამ საქმეს და ეს ტერიტორია ადგილობრივი მოსახლეობისათვის მიმზიდველი ადგილი გახდება.

რკინიგზის მიმდებარე ქუჩების მოსახლეობის სახელით
ირაკლი ჯალაღონია.

## შევახსენებთ საზღვარგარეთ წამსვლელთ!

საზღვარგარეთ წამსვლელ მოქალაქეებს, რომელთაც გააჩნიათ კერძო მოწვევები თურქეთში, ავსტრიაში, სინგაპურსა და სხვა რიის ქვეყნებში, ვაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 15 ნოემბრის შემდეგ გამოგზავნილი ვიზები თუ არა აქვთ დამოწმებული საბჭოთა საელჩოს ან კონსულის მიერ, განუხილველად არ მიიღება სათანადო სამსახურების მიერ. მოწვევები აღნიშნული ქვეყნებიდან გამოგზავნილი უნდა იყოს კონვერტებით.

1991 წლის იანვრიდან დასავლეთის რეგიონს მოემსახურება ქ. ქუთაისის ვიზებისა და უცხოელთა რეგისტრაციის განყოფილება, სადაც მოხდება საზღვარგარეთ მიმავალ მოქალაქეთა პასპორტირება. პასპორტების გაცემა მოხდება მოწვევის ჩაბარების დღიდან 75 დღის განმავლობაში. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ხშირ შემთხვევაში ვიზებისა და უცხოელთა რეგისტრაციის განყოფილებას არა აქვს პასპორტების სუფთა ბლანკები, რომლის მომწოდებელია სსრ კავშირში ერთადერთი მოსკოვის სახელმწიფო ნიშნის ფაბრიკა. ლებულობს რა იგი მრავალსახოვან შეკვეთებს, დროულად ვერ ასრულებს დავალებას.

ჩვენი მიზანია, ახლო მომავალში, თუ თქვენი მხარდაჭერა გვექნება, ზუგდიდშიც გაიხსნას ვიზებისა და უცხოელთა რეგისტრაციის სამსახური. დღეისათვის ქალაქისა და რაიონის ქვეგანყოფილება განისაზღვრება ხუთი საშტატო ერთეულით. მოქალაქეთა მიღება ხდება ყოველდღე [...] ბათის გარდა. ჩვენი მიზანია გავუწიოთ ხალხს კეთილსინდისიერი და კულტურული მომსახურება. თუ ვინმეს რაიმე შენიშვნები დაებადება ჩვენი მუშაობის მისამართით, მზად ვართ ყოველ ორშაბათს დილის 10 საათიდან შევხვდეთ მათ, მოვისმინოთ მათი სურვილები, წინადადებანი და რაც მისაღები იქნება, გავითვალისწინოთ და დავნერგოთ ჩვენს მუშაობაში.

საპასპორტო ქვეგანყოფილების მთელი კოლექტივი რაიონისა და ქალაქის მოსახლეობას ულოცავს ახალ წელს და უსურვებს მალე გვეცხოვროს ერთიან, მშვიდობიან, თავისუფალ საქართველოში.

ზ. გოგია,
ზუგდიდის შინაგან საქმეთა საქალაქო-რაიონული განყოფილების საპასპორტო ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის კაპიტანი.

## განცხადებები.

თქვენთვის დიასახლისებო!

ამ რამდენიმე დღის წინ მუშაობას შეუდგა კოოპერატივი „ოქრონი". იგი აღჭურვილია უცხოური მარკის მანქანა-დანადგარებით „ოქრონი" ხარისხიანად რეცხავს და აუთოვებს სარეცხს თეთრეულს. შეკვეთების მიღება ყოველდღე, გარდა კვირისა, ჩვენი მისამართია: არაგვისპირელის 9. დაწვრილებითი ცნობებისათვის დარეკეთ 2—14—91-ზე.

ს-გ „საქქალაქმშენტრესტის" ენგურის სამშენებლო სამმართველო სამუშაოდ იწვევს სხვადასხვა სპეციალობის მუშებს: მებეტონეებს, მებათქაშეებს, კალატოზებს, დურგლებს, დამხმარე მუშებს. ანაზღაურება 300-350 მანეთამდეა, გარდა ამისა, მუშებს მიეცემათ სხვადასხვა სახის მატერიალური წახალისებები.

მუშები, რომლებიც მოვლენ ჩვენთან, უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებელი ბინით.

ჩვენი მისამართია: ენგურქალაქკომბინატი, ჯანაშიას ქ. ენგურის სამშენებლო სამმართველოს კადრების განყოფილება.

ექიმ-სპეციალისტთა საყურადღებოდ!

ქ. ზუგდიდის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანება აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე: ტრავმატოლოგი (ერთი საშტატო ერთეული) მოზრდილთა პოლიკლინიკაში, ქირურგი (ერთი საშტატო ერთეული) მოზრდილთა პოლიკლინიკაში. უროლოგი (ერთი საშტატო ერთეული) მოზრდილთა პოლიკლინიკაში, ოტორალინგოლოგი (ერთი საშტატო ერთეული) მოზრდილთა პოლიკლინიკაში. რენტგენოლოგი (ნახევარი საშტატო ერთეული) ტუბდისპანსერში, ფთიზიატრი (ერთი საშტატო ერთეული) ტუბდისპანსერში. საავადმყოფო პოლიკლინიკის გაერთიანების მთავარი ექიმის მოადგილე (ერთი საშტატო ერთეული), კომუნალური ჰიგიენის ექიმი (ერთი საშტატო ერთეული) სანეპიდსადგურში, ექიმ-მეთოდისტი (ერთი საშტატო ერთეული) საექიმო ფიზკულტურულ დისპანსერში იურისკონსულტი (ნახევარი საშტატო ერთეული) ვენდისპანსერში.

ცნობებისათვის მიმართეთ საავადმყოფო პოლიკლინიკურ გაერთიანებას. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90, ტელ: 2-25-61.

ექიმი ნევროპათოლოგ-კოსმეტოლოგი ნინა ვლადიმერის ასული ოვრახი (კიევიდან) 8 იანვრიდან 1 მაისამდე პაციენტებს ღებულობს შემდეგი მისამართით: პლეხანოვის ქუჩა №24, ყოველდღე (ორშაბათის გარდა) დილის 9 საათიდან 14 საათამდე (ბინაში სანიტნორმები დაცულია, საფინანსო განყოფილების მიერ დაბეგრილია).

ექიმი კურნავს თირკმლებს, ღვიძლს, ალერგიას, ფსორიაზს, ხსნის სხვადასხვა ხასიათის ტკივილებს, კურნავს და კონსულტაციას ატარებს სახის კანის დაავადებებზე.

წერილი რედაქციას

გამოვხატავ მადლობას!

ამ დღეებში მინდ ალნიე ვოლის 22-ე პარტყრილობის სახელობის პროსპექტის №12 სახლის 171-ე ბინაში მცხოვრებ ვასილი ივანეს ძე ბელოუსოვისაგან ასეთი შინაარსის წერილი მივიღეთ რედაქციაში:

ძვირფასო ამხანაგებო! გამოგეხმაუროთ სამამულო ომის წლებში სამხედრო ჰოსპიტალში გარდაცვლილი ოფიცრის ავრამ ქირიას ახლობლები. მისი ნეშტი განისვენებს მინერალნიე ვოდის ძმათა სასაფლაოზე.

დავრჩები დავალებული. პატივისცემით პედაგოგი ვ. ბელოუსოვი.

შვილებმა: ტატიანა, შალვა, სერაპიონი. მიშა მალანიები, ჯუანშერ კოდუა, რძლები ავრორა მაქაცარია. ლიდა სორდია, ვენერა ჯაბუა, დარეჯან სიჭინავა, ნადია ჭანტურია, ბედიკო თოდუა, ნინო ჩხაპელია, მარა ჯოლოგუა. სიძეები ვალტერ დარასელია, დემიკო, ჯემალ თოდუები. იაშა ტურენკო. მერაბი საჯაია, ნუგზარ ხვიჩია, ვახტანგ ბერია. ვასო ქუთელია, შვილიშვილები ნუგზარ. ციალა, ლორიტა. როზა. ვალტერი. მადონა. გულია. თენგიზი. გოჩა, დოდო მალანიები. ოთარ. ბორისი. ლიანა როზა ტურავები. ძმისშვილები ნაოლიშები. ჰუჰა. ტიხონი, შუხუხი ქორთუები. ლუდუკა ბარქაია. დისშვილი როზა მეუნარგია. ბოძაშვილები, მამიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

სონია ნესტორის ასულ მალანიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 2 იანვარს. დაკრძალვა 3 იანვარს 4 საათზე ს. ურთაში

განათლების მუშაკთა ზუგდიდის პროფკავშირის რაიკომისა და განათლების მუშაკთა სახლის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მადონა ბულიას დიდის ვარდიშა ვლადიმირის ასულ მესხია-ბულიას გარდაცვალების გამო და სიმძიმის უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

## გ. რ. ღურწკაია

გარდაიცვალა ომისა და შრომის ვეტერანი, წითელი ვარსკვლავის, სამამულო ომის პირველი და მეორე ხარისხის ორდენებისა და რამდენიმე მედლის კავალერი, სკკპ წევრი 1940 წლიდან ვარლამ რაჟდენის ძე ღურწკაია.

იგი დაიბადა 1912 წელს სოფელ შამგონაში. თბილისის ინსტრუქტორ-საბუღალტრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სხვადასხვა დროს მუშაობდა ნაბაკევის, თაგილონის კოლმეურნეობებში ბუღალტრად. 1941-45 წლებში იყო მოქმედ არმიაში. ომის დამთავრების შემდეგ ოფიცრის ჩინით ბრუნდება შინ და კვლავ იწყებს მუშაობას სპეციალობის მიხედვით. სხვადასხვა დროს იყო რაიონის მთავარი ბუღალტერი, რიყის მეფრინველეობის ფაბრიკის, ურთის კოლმეურნეობის მთავარი ბუღალტერი.

1962 წლიდან პენსიაზე გასვლამდე მუშაობდა შამგონის კოლმეურნეობაში მთავარ ეკონომისტად.

რაიონის აღრიცხვის დარგის მუშაკებს გამოაკლდა საუკეთესო სპეციალისტი, უანგარო მუშაკი, შესანიშნავი მოქალაქე, რომლის ხსოვნა დიდხანს იცოცხლებს ამხანაგების, მეგობრების, თანასოფლელების გულში.

ავხანაგების ჯგუფი.

შვილებმა გული. ალექსანდრე, ზაური ჩახაიები. დები რაისა, ლარისა. მანანა. ძმები ვალიკო ბუკია. ქორქი როგავა. რძლები თინა. ვარდო. ლოლა, შურა, ჯულნაზი. მზიური. მული აგრა შედია. სიძეები კლიმენტი პატარაია, მამია თორდია, შვილიშვილები: ბადრი. ბექანა, ეკაემა. მამუკა ჩახაიები. ზვიადი. ზურაბი. ზაზა პატარაიები და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მელინა გიორგის ასული როგავა-ჩახაია.

პანაშვიდი 29, 30 დეკემბერს, დაკრძალვა 3 იანვარს ს. კახათში.

შვილი მურთაზ შარია. და მარო დემურია, შვილიშვილები: სვეტა, ელდარი შარიები, დისშვილები ნომარი. მურთაზი ეთერი ღურწკაიები. გურამ. ზაირა, ნარგიზა როგავები, რძლები მზია ზაქარაია, ნანი მაქაცარია, ნანა კორკელია. მანანა ტყებუჩავა, სიძე თამაზ ძიგუა. ბიძაშვილები. მამიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

შურა ბესარიონის ასულ დემურიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 29 დეკემბერს. ქ. ზუგდიდი, გამოსვენება რუსთაველის პირველი შესახვევი 9.

რედაქტორი
ავ. ჭანტურია.

შვილები ლენიკო, მზია, ლიანა, რუსლანი, თორნიკე ხაზალიები, რძლები: ქსენია ტაბალუა, ეთერ ჯალაღონია, ნანა მილიუტინი, შვილიშვილები: გია ბარაბაძე, ზურაბ მალაზონია, ელიკო. ზურაბ ხაზალიები. ფისო, გოლი ფაჩულიები. ტასო, კახა კოდუები, წინიკო ხაზალია, დებთ ოლია, ქსენია, ზინა ცხომარიები. მული გოგოლა გაბედავა, დისშვილები: კუკური ქირია, მიმოზა ლადუა. გულადი აბრამია, დარეჯან, კუსა, მერაბ ხასიები ოჯახებით, სიძეები კუკური კოდუა. გენადი ბებია, მერაბ პაპუაშვილი, იველიკო აბალია, დავითი ზარანდია, ვალიკო კობახიძე, რეზო ფოჩქია, ვარლამ კუკავა, ენუქი მაქაცარია, ოჯახებით მზახალი ნინო ხურცილავა, მულიშვილები, მაზლიშვილები, ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან

ვალია (ფუცუ) სოგრატის ასულ ცხომარია ხაზალიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 31 დეკემბერს, 2 იანვარს, დაკრძალვა 3 იანვარს ორსანტიაში.

ჭკადუაშის სასოფლო საბჭოს აღმასკომი იუწყება

ცაბუ (ვარდო) ბასას ასულ სამუშია-პაპასქუაის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ზუგდიდის მერაბ კოსტავას საზოგადოება თანაგრძნობას უცხადებს საზოგადოების წევრს გია სიჭინავას შვილის

თეონას

გარდაცვალების გამო.

ინდექსი 66507 რედაქციის მისამართი: ქ ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ № 52 ტელეფონები: რედაქტორის 2·24·80, რედაქტორის მოადგილის — 2·33·69 პასუხისმგებელი მდივნის 2·31·96 სოფლის მეურნეობის განყოფილების 2·21·78 მშრომელთა წერილების 2·25·12, რადიორედაქციის 2·47·09

საქ. ბეჭდვსახკომის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 52, ტელეფონი 2·23·0. ტირაჟი 22000 შეკ. №5397